



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ვაზეჰი

ვაზეჰი (ნამდვ. სახელი – მ ი რ ზ ა შ ა ფ ი ) (დაახლ. 1792–96, განჯა, – 28. XI. 1852, თბილისი), აზერბაიჯანელი პოეტი, განმანათლებელი, კალიგრაფი. 1840-იდან თბილ. სამაზრო სასწავლებელში ასწავლიდა აზერბ. და სპარს. ენებს. 1844 დააარსა ლიტ.-ფილოს. წრე. 1846–50 განჯაში მასწავლებლობდა. 1850 დაბრუნდა თბილისში. ვ-ის შემოქმედება შეიცავს ფილოს. ლირიკას, სატირული ჟანრის ნაწარმოებებს, სატრფიალო ლექსებს და სხვ. ვ-ის ლექსების დედნები, მცირე გამოცემის გარდა, შემორჩენილი არ არის. მსოფლიო მას იცნობს გერმ. პოეტის ფ. ბოდენშტედტის თარგმანით („ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“, 1850 და „მირზა შაფის სიმღერები“, 1851). ვ. კარგად იცნობდა ქართ. სინამდვილეს, რაც მის პოეზიაშიც აისახა (“დამშვიდობება თბილისთან”).

*თბზ.*: Избранная лирика, Баку, 1986; [წიგნში] Антология азербайджанской поэзии, т. 2, М., 1960.

*ლიტ.*: ბოდენშტედტი ფ., ათას ერთი დღე აღმოსავლეთში, თბ., 1965; Рафили М., Мирза Шафи в мировой литературе, Баку, 1958; Сейдадзе А. А., Мирза-Шафи Садыкоглу Вазех, Баку, 1969.

**გ. შაყულაშვილი**

---